

ინფორმაცია

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მერიის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, დაზუსტებული ასიგნებების შესრულების მაჩვენებლებს. ანგარიში ასევე შეიცავს ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული ხარჯების შესახებ. სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	43686.6	6832.5	36854.1	44526.4	6808.1	37718.3
გადასახადები	29380.0	0.0	29380.0	29903.8	0.0	29903.8
გრანტები	6832.5	6832.5	0.0	6808.1	6808.1	0.0
სხვა შემოსავლები	7474.1	0.0	7474.1	7814.4	0.0	7814.4
ხარჯები	32855.9	1056.5	31799.5	32170.8	1021.7	31149.1
შრომის ანაზღაურება	5439.8	0.0	5439.8	5399.4	0.0	5399.4
საქონელი და მომსახურება	6221.3	814.3	5407.0	5961.0	784.7	5176.3
პროცენტი	33.0	0.0	33.0	28.5	0.0	28.5
სუბსიდიები	14172.4	237.2	13935.2	14005.5	236.0	13769.4
გრანტები	1565.0	0.0	1565.0	1565.0	0.0	1565.0
სოციალური უზრუნველყოფა	4404.5	3.0	4401.5	4225.2	1.0	4224.3
სხვა ხარჯები	1020.0	2.0	1018.0	986.2	0.0	986.2
საოპერაციო სალდო	10830.7	5776.0	5054.6	12355.6	5786.4	6569.2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	21447.0	6239.0	15208.1	13019.1	5561.3	7457.9
ზრდა	24064.5	6239.0	17825.6	16037.6	5561.3	10476.3
კლება	2617.5	0.0	2617.5	3018.5	0.0	3018.5

მთლიანი სალდო	-10616.4	-462.9	-10153.5	-663.5	225.1	-888.6
ფინანსური აქტივების ცვლილება	-10673.9	-462.9	-10210.9	-721.0	225.1	-946.1
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	225.1	0.0
კლება	10673.9	462.9	10210.9	721.0	0.0	946.1
ვალდებულებების ცვლილება	-57.5	0.0	-57.5	-57.5	0.0	-57.5
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	57.5	0.0	57.5	57.5	0.0	57.5
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2022 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 10,817.2 ათასი ლარი.

2022 წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 10,096.2 ათასი ლარი.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)

დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის შესრულება	შესრულება %-ში
შემოსულობები	46304.1	47544.8	102.7%
შემოსავლები	43686.6	44526.4	101.9%
არაფინანსური აქტივების კლება	2617.5	3018.5	115.3%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	
გადასახდელები	56978.0	48265.8	84.7%
ხარჯები	32855.9	32170.8	97.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	24064.5	16037.6	66.6%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	
ვალდებულებების კლება	57.5	57.5	100.0%
ნაშთის ცვლილება	-10673.9	-721.0	

ინფორმაცია გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 46,604.1 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 47,544.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 102.7%.

შემოსავლები

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 43,686.6 ათასი ლარი ფაქტიურად 44,526.4 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 101.9% და მთლიანი შემოსულობების 93.6% შეადგინა.

I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 29,903.8 ათასი ლარი. გეგმიურ მაჩვენებელთან 29,380.0 ლართან შედარებით 523.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიღებული.

ქონების გადასახადიდან - საანგარიშო პერიოდში მიღებულია 26,080.5 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის 25,600.0 ათასი ლარის 101.0%-ს შეადგენს, მათ შორის: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი - 17,075.8 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) - 20.8 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე - 74.6 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 1,461.0 ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 7,448.4 ათასი ლარი.

დამატებითი ღირებულების გადასახადი - 2022 წლის საანგარიშო პერიოდში დამატებითი ღირებულების გადასახადიდან ბიუჯეტში გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო 3,780.0 ათასი ლარის მიღება, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 3,823.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 101.1%-ია.

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 6,808.1 ათასი ლარი, მათ შორის: სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 290.0 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 4,783.4 ათასი ლარი. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ - 662.0 ათასი ლარი. დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის - 982.7 ათასი ლარი.

გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო 6,832.5 ათასი ლარის ოდენობის კაპიტალური გრანტის მიღება, საანგარიშო პერიოდში მიღებულმა კაპიტალურმა გრანტმა კი - 6,808.1 ათასი ლარი შეადგინა.

III სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 7,474.1 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 7,814.4 ათასი ლარი შეადგინა, რამაც გეგმის 104.6% შეადგინა, მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1,159.1 ათასი ლარი.

რენტის სახით მობილიზებულია 727.2 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელიდან - 709.5 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 17.7 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 389.3 ათასი ლარი. მათ შორის:

- ✓ **სანებართვო მოსაკრებელიდან** (მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე) მთლიანობაში მიღებულია 94.3 ათასი ლარი.
- ✓ **სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი** - 4.6 ათასი ლარი.
- ✓ **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** - 112.0 ათასი ლარი.
- ✓ **დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 162.7 ათასი ლარი.
- ✓ **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურების მუხლიდან** მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 15.6 ათასი ლარი.

სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 5,142.3 ათასი ლარი შეადგინა.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 396.6 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივებიდან გეგმის სახით გათვალისწინებული იყო 2,617.5 ათასი ლარის მიღება. ნაცვლად ამისა, მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 3,018.5 ათასი ლარის შემოსავალი (შესრულება - 115.3%). მათ შორის: 1,280.7 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების

გაყიდვიდან და არაწარმოებული აქტივები (მიწის) გაყიდვიდან - 1,737.8 ათასი ლარი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ნაშთის სახით ირიცხებოდა 10,817.2 ათასი ლარი, ხოლო საანგარიშო წლის ბოლოსათვის 10,096.2 ათასი ლარი. ნაშთის ცვლილებამ წლის განმავლობაში შეადგინა -721.0 ათასი ლარი.

ინფორმაცია გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2022 წელს გადასახდელების საკასო შესრულების 84.7%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 56,978.0 ათასი ლარი. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 48,265.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 84.7%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 32,855.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 32,170.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.9%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 66.6%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 24,064.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 16,037.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 66.6% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 33.2%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 57.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 57.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 0.2%-ია.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 5,439.8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 5,399.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.3%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 6,221.3 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 5,961.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.8%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 33.0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 28.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 86.2%-ს შეადგენს. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 14,172.4 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 14,005.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.8%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) – 827.7 ათასი ლარი;
- საკანალიზაციო სისტემების მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) – 190.4 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული შენობების მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) - 246.2 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) – 114.3 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) – 1,386.3 ათასი ლარი;
- სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) – 7,886.4 ათასი ლარი;
- სპორტული სკოლების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) – 1,323.7 ათასი ლარი;

- სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიერ) – 199.3 ათასი ლარი;
- ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიერ) – 170.5 ათასი ლარი;
- კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიერ) – 627.5 ათასი ლარი;
- მუზეუმების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ცენტრის მიერ) – 207.9 ათასი ლარი;
- მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიერ) – 128.8 ათასი ლარი;
- მეგობრობის ცენტრის ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ მეგობრობის ცენტრის მიერ) – 128.3 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის მიერ)– 457.9 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის ხელშეწყობა - 56.0 ათასი ლარი;
- თერაპიული ცენტრის ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის თერაპიული ცენტრის მიერ) – 290.1 ათასი ლარი;

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1,565.0 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1,565.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.0%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 4,404.5 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 4,225.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.9%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ავადმყოფთა სოციალური დაცვა - 1,521.3 ათასი ლარი;
- სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა - 87.5 ათასი ლარი;
- ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 374.1 ათასი ლარი;

- მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება - 2.3 ათასი ლარი;
- დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეების დაფინანსება - 137.9 ათასი ლარი;
- დედამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება - 5.0 ათასი ლარი;
- უსახლკაროდ დარჩენილთა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება - 43.3 ათასი ლარი;
- ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარება - 22.0 ათასი ლარი;
- ხანდაზმულებისა პირთა სოციალური დაცვა - 7.4 ათასი ლარი;
- შშმ პირთა სოციალური დაცვა - 69.6 ათასი ლარი;
- სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა - 7.2 ათასი ლარი;
- სტუდენტების დახმარება - 37.2 ათასი ლარი.
- სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურება - 344.6 ათასი ლარი;
- ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურება - 333.8 ათასი ლარი;
- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა - 53.5 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების დახმარება - 8.3 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების დახმარება - 41.4 ათასი ლარი;
- მარტოხელა მშობლების დახმარება - 69.8 ათასი ლარი;
- ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფა - 30.3 ათასი ლარი;
- სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების დახმარება - 967.0 ათასი ლარი;
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა - 7,0 ათასი ლარი;

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1,020.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის მერის სარეზერვო ფონდი 220.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 986.2 ათასი ლარის მოცულობით, მათ შორის მერის სარეზერვო ფონდიდან 214.1 ათასი ლარი. „სხვა ხარჯების“ მთლიანმა შესრულებამ გეგმის 96.7% შეადგინა. მერის სარეზერვო ფონდის საკასო შესრულება გეგმის 97.3%-ია.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან 2022 წელს დაფინანსდა მოსახლეობისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:

- უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა სოციალური დაცვა - 100.2 ათასი ლარი;
- ავადმყოფთა სოციალური დაცვა - 58.6 ათასი ლარი;

- ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 40.4 ათასი ლარი;
- წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება - 4.4 ათ. ლარი;
- უკრაინისთვის გაწეული ჰუმანიტარული დახმარება - 10.5 ათ. ლარი;

სესხების მომსახურება და დაფარვა

სესხის მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 86.0 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (90.5 ათასი ლარი) 95.0%-ია. მათ შორის: წინა წლებში წარმოქმნილი სესხების ძირითადი თანხის დაფარვა - 57.5 ათასი ლარი, სესხის მომსახურების პროცენტი - 28.5 ათასი ლარი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:

კოდი	დასახელება	(ათას ლარებში)		
		2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრულების პროცენტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	9470.1	9280.4	98.0
702	თავდაცვა	259.2	228.8	88.3
704	ეკონომიკური საქმიანობა	12440.3	8722.1	70.1
705	გარემოს დაცვა	3314.6	2446.1	73.8
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	8831.7	7762.6	87.9
707	ჯანმრთელობის დაცვა	535.5	513.9	96.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	7949.5	5652.2	71.1
709	განათლება	9538.6	9199.5	96.4
710	სოციალური დაცვა	4638.5	4460.3	96.2
სულ		56978.0	48265.8	84.7

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

- ❖ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 9,509.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (9,729.3 ათასი ლარი) 97.7%-ია;
- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება - 17,144.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (23,190.5 ათასი ლარი) 73.9%-ია;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა - 2,255.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (3,096.4 ათასი ლარი) 72.8%-ია;
- ❖ განათლება - 8,700.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (9,040.0 ათასი ლარი) 96.2%-ია;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 5,681.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (6,747.7 ათასი ლარი) 84.2%-ია;

❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 4,974.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (5,174.0 ათასი ლარი) 96.1%-ია.

დაზუსტებული ასიგნებების შესრულება

		(ათას ლარებში)		
ორგ. კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრულების პროცენტი
	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	56978.0	48265.8	84.7
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	9729.3	9509.1	97.7
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	8817.8	8611.1	97.7
01 01 01	გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1825.6	1786.5	97.9
01 01 02	გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია	6688.0	6554.9	98.0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	259.2	228.8	88.3
01 01 04	საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა	45.0	41.0	91.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	911.5	898.1	98.5
01 02 01	სარეზერვო ფონდი	220.0	214.1	97.3
01 02 02	მგფ-სა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	90.5	85.9	95.0
01 02 03	სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები	546.0	543.0	99.5
01 02 04	ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა	55.0	55.0	100.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	23190.5	17144.8	73.9
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	11866.3	8304.6	70.0
02 01 01	გზებისა და ტროტუარების მშენებლობა-რეაბილიტაცია	11791.3	8246.7	69.9
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	10.0	0.0	0.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	65.0	57.9	89.1
02 02	წყლის სისტემების განვითარება	3144.2	2982.5	94.9
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	1551.8	1521.6	98.1
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების ექსპლოატაცია	459.0	442.7	96.5
02 02 03	საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია	8.7	0.0	0.0
02 02 05	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	915.2	827.7	90.4
02 02 06	საკანალიზაციო სისტემების მოვლა-პატრონობა	209.5	190.4	90.9
02 03	გარე განათება	3471.3	3185.6	91.8
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	1580.0	1502.7	95.1
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	1891.3	1682.9	89.0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	1563.8	1117.0	71.4
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	750.1	500.2	66.7
02 04 02	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	556.8	370.7	66.6
02 04 04	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მოვლა-პატრონობა	256.8	246.2	95.9
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1709.2	473.7	27.7
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	1700.4	469.7	27.6
02 06 02	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	8.8	4.0	45.5
02 07	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები	574.0	417.5	72.7
02 07 01	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის ხარჯები	199.0	134.6	67.7
02 07 02	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები	375.0	282.9	75.4
02 08	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	861.9	663.9	77.0

02 08 01	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	861.9	663.9	77.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3096.4	2255.7	72.8
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1416.3	1408.3	99.4
03 01 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1386.3	1386.3	100.0
03 01 02	მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა	30.0	22.0	73.3
03 02	მწვანე ნარჩენების მოვლა-პატრონობა, განვითარება	1402.6	569.9	40.6
03 02 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	1280.8	455.6	35.6
03 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა	121.8	114.3	93.9
03 03	კაპიტალური დაბანდები დასუფთავების სფეროში	277.5	277.5	100.0
03 03 01	ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა	277.5	277.5	100.0
04 00	განათლება	9040.0	8700.9	96.2
04 01	სკოლამდელი განათლება	7954.3	7888.8	99.2
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	7924.0	7883.4	99.5
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია	30.3	5.4	17.7
04 02	დაწყებითი ზოგადი განათლება	1085.7	812.1	74.8
04 02 01	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	316.5	42.8	13.5
04 02 02	საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება	769.3	769.3	100.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	6747.7	5681.1	84.2
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	4862.4	3841.2	79.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	15.9	15.9	100.0
05 01 02	სპორტული სკოლების ხელშეწყობა	1325.1	1323.7	99.9
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	3441.4	2422.9	70.4
05 01 04	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯები	80.0	78.7	98.3
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1807.2	1767.2	97.8
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	271.0	270.9	100.0
05 02 02	ტელევიზიის დაფინანსება	50.0	32.1	64.2
05 02 03	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა	199.3	199.3	100.0
05 02 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	170.5	170.5	100.0
05 02 05	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	627.5	627.5	100.0
05 02 06	მუზეუმების ხელშეწყობა	208.0	207.9	100.0
05 02 07	მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების ხელშეწყობა	128.8	128.8	100.0
05 02 08	მეგობრობის ცენტრის ხელშეწყობა	141.6	128.3	90.6
05 02 09	კულტურის ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	10.5	1.8	17.1
05 03	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	78.1	72.8	93.2
05 03 01	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	78.1	72.8	93.2
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5174.0	4974.2	96.1
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	479.5	457.9	95.5
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	460.0	457.9	99.6
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	19.5	0.0	0.0
06 02	სოციალური პროგრამები	4694.5	4516.3	96.2
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამა	1570.0	1521.3	96.9
06 02 02	ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი	56.0	56.0	100.0
06 02 03	სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა	101.0	87.5	86.6
06 02 04	თერაპიული ცენტრის ხელშეწყობა	300.0	290.1	96.7
06 02 05	ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა	374.5	374.1	99.9
06 02 06	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	10.0	2.3	22.5
06 02 07	დიალექზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა	145.0	137.9	95.1
06 02 09	დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	10.0	5.0	50.0
06 02 10	უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა	47.5	43.3	91.1

06 02 11	ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა	30.0	22.0	73.3
06 02 12	ხანდაზმულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	8.0	7.4	92.5
06 02 13	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის პროგრამა	70.0	69.6	99.4
06 02 14	სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა	10.0	7.2	72.0
06 02 15	სტუდენტების დახმარების პროგრამა	38.0	37.2	97.9
06 02 16	სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა	345.0	344.6	99.9
06 02 17	ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა	335.0	333.8	99.7
06 02 18	მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა	60.0	53.5	89.2
06 02 19	სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების დახმარების პროგრამა	15.0	8.3	55.0
06 02 20	სოციალურად დაუცველი იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების დახმარების პროგრამა	47.5	41.4	87.1
06 02 21	მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა	94.0	69.8	74.2
06 02 22	სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	1.0	0.0	0.0
06 02 23	ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფის პროგრამა	35.0	30.3	86.4
06 02 24	სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა	967.0	967.0	100.0
06 02 26	ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	25.0	7.0	27.8